შპს "თრეიდ ჰოლდინგი"

2022წ 2 კვარტლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს "თრეიდ ჰოლდინგი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 მარტი
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	30.06.2022	31-დეკ-21
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	746789	429,729
წინასწარ გადახდილი ხელფასები			-
სხვა მოთხოვნები	6	321636	401,175
ძირითადი საშუალებები	7	326595	342,155
გასაყიდად გამიზნული აქტივი			-
არამატერიალური აქტივები	9	23465	24,432
სულ აქტივები		**1418485**	**1,197,491**
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარა		66147	141,826
კრედიტორული დავალიანება	11	627756	427,090
გადასახდელი გადასახადები	12	26974	31,280
გადასახდელი ხელფასი	13	18857	25,959
მიღებული ავანსები			31
სულ ვალდებულებები		**739734**	**626,186**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	1436596	1,420,296
დაგროვილი ზარალი		-757845	(848,991)
სულ კაპიტალი		**678751**	**571,305**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**1418485**	**1,197,491**
		0	0

მერი კუბლაშვილი
გენ. დირექტორის მოვალეობის სემსრულებელი

შპს "თრეიდ ჰოლდინგი"

მაია ეგრისელაშვილი
ფინანსური დირექტორი

შპს "თრეიდ ჰოლდინგი"

შპს თრეიდ ჰოლდინგი
VIPTRADE
Trade Holding LLC
416331507

სრული შემოსავლების ანგარიშგება
2022 წლის 2 კვარტალი
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2022 2 კვარტ	2021 მე-4 კვარტ
საკომისიო შემოსავალი	15	96208	105,553
საკომისიო ხარჯი	16	-10464	(15,815)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		**85744**	**89,738**
ვაჭრობის შედეგად მიღებული მოგება	17	0	211,454
ვაჭრობის შედეგად მიღებული ზარალი	18	0	(205,462)
ვაჭრობის შედეგად მიღებული წმინდა მოგება / (ზარალი)		**0**	**5,992**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19	28644	67,504
სხვა შემოსავალი		4316	94
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22	-93768	(130,976)
ხელფასის ხარჯი	23	-98627	(81,415)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7;9	-11330	(27,811)
საეჭვო მოთხოვნების ხარჯი		0	(1,501)
კლიენტებზე გაცემული ბონუსები		-241	(606)
საპროცენტო ხარჯი		-1856	-
საკურსო მოგება / (ზარალი)		-20488	5,603
სხვა ოპერაციებიდან მიღებული მოგება -ზარალი		**(193350)**	**(169,108)**
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		**(107606)**	**(300,085)**
მოგების გადასახადი			-
პერიოდის მოგება/(ზარალი)		**(107606)**	**(300,085)**

მერი კუბლაშვილი
გენ. დირექტორის მოვალეობის სემსრულებელი
შპს "თრეიდ ჰოლდინგი"

მაია ეგრისელაშვილი
ფინანსური დირექტორი
შპს "თრეიდ ჰოლდინგი"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 2 კვარტლის
თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი		დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2019	**981,306**		**(580,851)**	**400,455**
დამატებით შეტანილი კაპიტალი	127,180		-	127,180
წმინდა მოგება/(ზარალი) 2020 წლისთვის	-		31,945	31,945
31 დეკემბერი 2020	**1,108,486**		**(548,906)**	**559,580**
დამატებით შეტანილი კაპიტალი	344,610		-	344,610
კაპიტალის გატანა	(32,800)		-	(32,800)
წმინდა მოგება/(ზარალი) 2021 წლისთვის	-		(300,085)	(300,085)
31 დეკემბერი 2021	**1,420,296**		**(848,991)**	**571,305**
დამატებით შეტანილი კაპიტალი	16,300		-	16,300
კაპიტალის გატანა	-		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი) 2022 1 კვ მდგომარეობით	-		208,761	208,761
31 მარტი 2022	**1,436,596**	**0**	**(640,230)**	**796,366**
დამატებით შეტანილი კაპიტალი	-		-	-
კაპიტალის გატანა	-		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი) 2022 1 კვ მდგომარეობით	-		(107,606)	(107,606)
30 ივნისი 2022	**1,436,596**	**0**	**(747,836)**	**688,760**
	-			

მერი კუბლაშვილი
გენ. დირექტორის მოვალეობის სემსრულებელი
შპს "თრეიდ ჰოლდინგი"

მაია ეგრისელაშვილი
ფინანსური დირექტორი
შპს "თრეიდ ჰოლდინგი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 2 კვარტალი
თანხები მოცემულია ლარში

	2022 2 კვ	2021 4-კვ
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
დეპოზიტის მიღება	696553	440,448
დეპოზიტის გაცემა	-148428	(118,532)
სწავლებიდან მიღებული შემოსავალი	33795	81,108
საკომისიო შემოსავალი	240	720
მომწოდებლებთან ანგარიშსწორება	-166389	(110,526)
გადახდილი ხელფასები	-73614	(49,357)
გადახდილი გადასახადები	- 73,614	(46,100)
ანგარიშვალდებულ პირის მიერ ტანხის შემოტანა	68,327	
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	***336,870***	***197,761***
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
სულ შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან		***0***
სულ გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან		-
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სულ შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან		30,500
სულ გასავალი საფინანსო საქმიანობიდან		-
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	-	***30,500***
საკურსო სხვაობა	30890	5,603
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა	***367,760***	***233,864***
საწყისი ნაშთი	379029	195,865
საბოლოო ნაშთი	***746,789***	***429,729***
	746,789	
	-	

მერი კუბლაშვილი

გენ. დირექტორის მოვალეობის სემსრულებელი
შპს "თრეიდ ჰოლდინგი"

მაია ეგრისელაშვილი

ფინანსური დირექტორი
შპს "თრეიდ ჰოლდინგი"

შპს თრეიდ ჰოლდინგი
VIPTRADE
Trade Holding LLC
416331507

შპს "თრეიდ ჰოლდინგი"
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022წ 2 კვარტლის
თანხები მოცემულია ლარში

1 კომპანია და მისი საქმიანობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს "თრეიდ ჰოლდინგი"-ს (ს/კ 416331507) (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია") ფინანსურ ინფორმაციას.

შპს "თრეიდ ჰოლდინგი" შექმნილია "მეწარმეთა შესახებ კანონისა და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე 2016 წლის 29 დეკემბერს თბილისში, საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გიორგი ლეონიძის ქუჩა N1.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს მისი კლიენტებისთვის ფორექსით ვაჭრობაში ხელშეწყობა პროგრამული პლატფორმის მეშვეობით (უცხოური ვალუტის სავაჭრო პლატფორმის ორგანიზება). ასევე ვაჭრობასთან დაკავშირებული სპეციფიკური სასწავლო კურსების

კომპანია სთავაზობს კლიენტებს ახალი თაობის პლათფორმას, რომელიც მათ მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე მოხვედრისა და ოპერირების საშუალებას აძლევთ. პლატფორმის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია წამიერად მოახდინოს დავალებების შესრულება და გაუქმება. გარდა ქართულენოვანი პლატფორმისა, კომპანიას გააჩნია საკუთარი სასწავლო ცენტრიც, რომლის მეშვეობითაც ფირმის მოქმედი "ვიპ-ტრეიდერები" უზრუნველყოფენ პოტენციური და მიმდინარე მომხმარებლების სწავლებას ფორექსის, აქციებისა და ბინარული ოპციონების პროგნოზირებისა და ტექნიკური ანალიზის მიმართულებით. შპს "თრეიდ ჰოლდინგი" თავის პლატფორმაზე, მომხმარებელს ზღუდავს მინიმალური 1,000 აშშ დოლარიანი შენატანით.

2022 წ 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიას ჰყავდა 505 აქტიური მომხმარებელი
2022 წ 31 მარტის მდგომარეობით კომპანიას ჰყავდა 508 აქტიური მომხმარებელი; 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავდა 493 აქტიური მომხმარებელი, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავდა 204 აქტიური მომხმარებელი.

2022 წლის 31 მარტის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს "თრეიდ ჰოლდინგი"-ს დამფუძნებლები არიან:

მეწილე	30.06.2022	31-დეკ-21
01004012802, რამაზ იუსუბოვი	18%	18%
01001019184, ლუდმილა ამოევი	26%	26%
1001076762, ჩაჩიკო გასოევი	56%	56%
	100%	100%

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში საბროკერო კომპანიების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას (მინიმუმ 500 ათასი ლარი) და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად. რეგულაციები ასევე გულისხმობს საქმიანობის ყოველ ეტაპზე კომპანიების მხრიდან კლიენტების მიმართ არსებული ვალდებულებების დასაფარად საკმარისი ფულადი სახსრების ფლობას. საბროკერო კომპანიებს მკაცრად ევალებათ მოახდინონ საბუღალტრო პროგრამებში კლიენტების ფულადი სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ერთმანეთისგან და საკუთარი სახსრებისგან გამიჯვნა.

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორიც საქართველოშია, ძალიან მგრძნობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არაა დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საერთაშორისო გამჭირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2020 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს მაჩვენებელი 56 ქულაა (180 ქვეყანას შორის 45-47-ე ადგილებს იყოფს პოლონეთთან და სენტ-ლუსიასთან). საქართველოს შედეგი გასულ წელთან შედარებით არ შეცვლილა.

.

კომპანიის მენეჯმენტს არ ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს ქვეყანაში არსებული ყველა მოვლენა რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის აკეთებს ყველა შესაძლო შეფასებას რომ განაპირობოს კომპანიის განვითარება და მდგრადობა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის

დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა *(გაგრძელება)*

3.1 მომზადების საფუძველი *(გაგრძელება)*

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ პირობით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობასა და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები წარმოდგენილია მე-4 განმარტებით შენიშვნაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2022 წლის 31 მარტიდან 2022 წლი 30 ივნისის ჩათვლით პერიოდს.

ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

3.2 წარსადგენი ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი").

3.3 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებსა და ანაბრებზე, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში ადვილად შესაძლებელია. ფული და ფულის ეკვივალენტები ასევე მოიცავს კლიენტების მიერ კომპანიის ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს.

3.3.1 კლიენტების ფულადი სახსრები

კომპანია ახორციელებს კლიენტების ფულადი სახსრების მართვას საკუთარი საბანკო ანგარიშების გამოყენებით. რეგულატორის მკაცრი მითითების მიხედვით, ასეთი ტიპის ფულადი სახსრები მკაფიოდაა გამიჯნული საკუთარი ფულადი სახსრებისგან. გამომდინარე იქიდან, რომ კლიენტების ფულად სახსრებზე კომპანია ვერ ახორციელებს სრულ მფლობელობას და ასევე რისკის, და სარგებლის ეფექტი საკმაოდ ლიმიტირებულია, ისინი ვერ აკმაყოფილებენ აქტივის განმარტებას და ბალანსგარეშე ოპერაციებად კლასიფიცირდებიან.

3.4 გადახდილი ავანსები

საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები თავდაპირველად აღიარდება გადახდილი თანხის ოდენობით და საჭიროებისამებრ კორექტირდება შესაძლო გაუფასურებით. ავანსები ითვლება გაუფასურებულად, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სრულად მიიღოს ის საქონელი და მომსახურება, რაც გათვალისწინებულია მხარეებს შორის თავდაპირველი შეთანხმებით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ავანსები წარმოდგენილია გადახდის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით და არ გადაანგარიშდება ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ კურსზე.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით.

ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივების ჯგუფი	შეფასებული საექსპლუატაციო ვადები

ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5 წელი
იჯარით აღებულ ობიექტზე გაწეული კაპ. დანახარჯები	5 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა *(გაგრძელება)*

3.5 ძირითადი საშუალებები *(გაგრძელება)*

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის მენეჯმენტი განიხილავს, ხომ არ არის რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ ძირითადი საშუალებების რომელიმე ელემენტი შესაძლოა გაუფასურებული იყოს. თუკი ასეთი ინდიკატორები არსებობს, შემდეგ ხდება აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მისი აღდგენითი ღირებულების (რომელიც არის აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უდიდესი ღირებულება) შედარება. თუკი აღმოჩნდება, რომ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც ჩანს, რომ გაუფასურება აღარ არსებობს ან შემცირებულია. გაუფასურების ზარალის აღდგენა ჩაირთვება მოგება-ზარალის იმავე მუხლში, რომელშიც გაუფასურების ზარალის ხარჯი აღიარდება. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება ისეთნაირად, რომ ამ აღდგენის შემდეგ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც ექნებოდა აქტივს ადრე რომ არ ყოფილიყო გაუფასურების ზარალი აღიარებული.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნეს აღრიცხვიდან ორეულ)

ფინანსურ ინსტრუმენტებს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რაც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა *(გაგრძელება)*

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები *(გაგრძელება)*

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, ხოლო სხვა შემთხვევაში კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის კომპიუტერული პროგრამის ლიცენზიისა და საბუღალტრო პროგრამის ღირებულებებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 7 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა *(გაგრძელება)*

3.8 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები). ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგება). ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

3.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, რომლებიც კომპანიის შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად საშუალებებსა და გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში მოხდა ცვლილება. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზომით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვითვით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

3.10 ვალდებულებები კლიენტების მიმართ

ვალდებულებები კლიენტების მიმართ წარმოადგენს სავაჭრო ანგარიშის გახსნისას განთავსებულ ფულად დეპოზიტს.

3.11 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად პარტნიორთა შენატანია.

3.12 შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებით, რომელიც ფასდება ფაქტობრივად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

3.13 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2021 წლების 31 დეკემბრისათვის და 2022წ 31 მარტის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	30-06-22	31-დეკ-21
1 აშშ დოლარი =	2.9289	3.0976
1 ევრო =	3.0821	3.5040
1 ბრიტანული ფუნტი =	3.5662	4.1737

3.14 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივებისა და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად. შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3.17 იჯარა

განსაზღვრება იმისა შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიცემის სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს უშუალოდ საიჯარო ვალდებულებებს, დაკორექტირებულს ნებისმიერი დამატებითი გადასახადით, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწყების თარიღში ან მანამდე, ასევე, მოიჯარის მიერ გაწეულ ნებისმიერ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟის ან ფილიალებსა და ოფისებში განხორციელებული გაუმჯობესების მოსახსნელად.

აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყებიდან ვადის დასრულებამდე ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით, რომელიც აღირიცხება სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც ცვეთის ხარჯი.

საიჯარო ვალდებულება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს.

ზოგადად, საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

კომპანიის შემთხვევაში, საიჯარო გადახდები მოიცავს ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახდელებს უცხოურ ვალუტაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურეობის ვადა – ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებით. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთასა (ძირითადი საშუალებების შემთხვევაში) და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯის კორექტირება.

---

4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები *(გაგრძელება)*

საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ქმნის სტიმულს რომ გამოიყენოს გაგრძელების ოფციონი ან არ გამოიყენოს შეწყვეტის ოფციონი. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) გათვალისწინებულია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი). შეფასების გადახედვა ხდება თუ მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდება გარემოებებში, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოქცეულია მოიჯარის კონტროლის ფარგლებში.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

5 ფული და ფულის ეკვივალენტები

	შენიშვნა	30.06.2022	31-დეკ-21
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	5.1	48,857	1,932
შეზღუდული ფული არარეზიდენტ ბანკში	5.1	697,932	427,797
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები		**746,789**	**429,729**

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია იმ ბანკებში, რომლებიც FITCH-ის მიერ შეფასებულია, როგორც B-ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

შეზღუდული ფული წარმოადგენს კომპანიის პარტნიორ არარეზიდენტ ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებს, რომელზეც კომპანიას წვდომა ლიმიტირებული აქვს პლატფომის მოხმარების პირობებიდან გამომდინარე.

კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰქონია ბლოკირებული თანხები ანგარიშებზე. 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა 103,250 დოლარის ოდენობის თანხა დაბლოკილ ანგარიშებზე.

5.1	*ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით*	30.06.2022	31-დეკ-21
	აშშ დოლარი (USD) მიმდინარე ანგარიშები	733,394	427,797
	ქართული ლარი (GEL)	13,395	1,932
	ევრო (EUR) მიმდინარე ანგარიშები	-	-
	სულ ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით	**746,789**	**429,729**

5.2	*კლიენტების ფულადი სახსრების მოძრაობა (ბალანსგარეშე და*	30.06.2022	31-დეკ-21
	ნაშთი წლის დასაწყისში (ბალანსგარეშე)	***231,111***	***264,917***
	დეპოზიტზე თანხის შეტანა (ბალანსგარეშე)	685,708	711,646
	დეპოზიტიდან თანხის გამოტანა (ბალანსგარეშე)	(148,427)	(264,086)
	წმინდა მოგება/(ზარალი) ვაჭრობიდან (ბალანსშიდა)	(95,968)	(262,293)
	წმინდა მოგება/(ზარალი) ვაჭრობიდან (ბალანსგარეშე)	(13,708)	(12,610)
	საკურსო სხვაობის გავლენა (ბალანსგარეშე)	(45,963)	(17,043)
	ნაშთი წლის ბოლოს (ბალანსგარეშე)	**612,753**	**420,531**

5.3	*ბალანსგარეშე ანგარიშების გაშლა*	30.06.2022	31-დეკ-21
	მესამე მხარესთან არსებული ჩანაწერები	612,753	420,531
	შიდა ჩანაწრები (UTP)		-
	სულ ბალანსგარეშე ანგარიშების გაშლა	**612,753**	**420,531**

6	**სხვა მოთხოვნები**	30.06.2022	**31.12.2021**
	გადახდილი ავანსები	-	1,513
	დებიტორული დავალიანება	300,540	420,758
	სხვა დებიტორული დავალიანება	-	-
	საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	21,096	(21,096)
	სულ სხვა მოთხოვნები	**321,636**	**401,175**

7

ძირითადი საშუალებები	*იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა*	*აქტივის გამოყენების უფლება **	*საოფისე ტექნიკა*	*ავეჯი და სხვა ინვენტარი*	*მიმდინარე მშენებლობა*	**სულ**
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**		**-**	**-**	**-**	**-**
SeZenebi	7,812		13,747	8,230	-	**29,789**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**7,811**	**-**	**13,747**	**8,230**	**-**	**29,788**
შეძენები	85,585	-	60,021	29,426	175,339	**350,371**
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრისთვის	**93,396**	**-**	**73,768**	**37,656**	**175,339**	**380,159**
ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი 2019 წლის	**-**	675,395	**-**	**-**	**-**	**675,395**
შეძენები	135,175	-	78,287	12,508	-	**225,970**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**228,571**	**675,395**	**152,055**	**50,164**	**175,339**	**1,281,524**
შეძენები	-	-	4,239	1,670	-	**5,909**
ჩამოწერა/რეალიზაცია	(23,584)	(388,392)	(280)	-	-	**(412,256)**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	**204,987**	**287,003**	**156,014**	**51,834**	**175,339**	**875,177**
შეძენები	-	214,912	10,450	8,235	-	**233,597**
ჩამოწერა/რეალიზაცია	(204,975)	(287,003)	(119,812)	(24,777)	-	**(636,567)**

გადასვლა	175,339	-	-	-	(175,339)	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	**175,351**	**214,912**	**46,652**	**35,292**	**-**	**472,207**
შეძენები	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა/რეალიზაცია	-	-	-	-	-	-
გადასვლა	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 მარტისთვის	**175,351**	**214,912**	**46,652**	**35,292**	**-**	**472,207**
შეძენები	-	-	860	5,200	-	**6,060**
ჩამოწერა/რეალიზაცია	-	-	-	-	-	-
გადასვლა	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 30 ივნისისთვის	175,351	214,912	47,512	40,492	-	478,267

აკუმულირებული ცვეთა

naSTi 2017 wlis 1 inavrisTvis	-		-	-	-	-
periodis cveTa	(1,323)		(2,099)	(1,071)	-	**(4,493)**
cveTis Camowera	-		-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	**(1,323)**	**-**	**(2,099)**	**(1,071)**	**-**	**(4,493)**
პერიოდის ცვეთა	(12,951)	-	(9,035)	(4,898)	-	**(26,884)**
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრისთვის	**(14,274)**	**-**	**(11,134)**	**(5,969)**	**-**	**(31,377)**
პერიოდის ცვეთა	(70,728)	(322,338)	(28,495)	(10,163)	-	**(431,724)**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**(85,002)**	**(322,338)**	**(39,629)**	**(16,132)**	**-**	**(463,101)**
პერიოდის ცვეთა	(77,412)	(185,009)	(32,244)	(9,707)	-	**(304,372)**
ცვეთის ჩამოწერა	8,424	220,982	-	-	-	**229,406**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	**(153,990)**	**(286,365)**	**(71,873)**	**(25,839)**	**-**	**(538,067)**
პერიოდის ცვეთა	(50,997)	(83,144)	(25,734)	(8,148)	-	**(168,023)**
ცვეთის ჩამოწერა	204,975	287,003	67,253	16,807	-	**576,038**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	**(12)**	**(82,506)**	**(30,354)**	**(17,180)**	**-**	**(130,052)**
პერიოდის ცვეთა	(2,922)	(6,513)	(860)	(478)	-	**(10,773)**
ცვეთის ჩამოწერა						-
ნაშთი 2022 წლის 31 მარტისთვის	**(2,934)**	**(89,019)**	**(31,214)**	**(17,658)**	**-**	**(140,825)**
პერიოდის ცვეთა	(2,922)	(6,513)	(855)	(556)	-	**(10,846)**
ცვეთის ჩამოწერა						-
ნაშთი 2022 წლის 30 ივნისისთვის	(5,856)	(95,532)	(32,069)	(18,214)	-	**(151,671)**

წმინდა საბალანსო ღირებულება

ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	***6,488***	***-***	***11,648***	***7,159***	***-***	***25,295***
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრისთვის	***79,122***	***-***	***62,634***	***31,687***	***175,339***	***348,782***
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	***143,569***	***353,057***	***112,426***	***34,032***	***175,339***	***818,423***
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	***50,997***	***638***	***84,141***	***25,995***	***175,339***	***337,110***
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	***175,339***	***132,406***	***16,298***	***18,112***	***-***	***342,155***
ნაშთი 2022 წლის 31 მარტისთვის	***172,417***	***125,893***	***15,438***	***17,634***	***-***	***331,382***
ნაშთი 2022 წლის 30 ივნისისთვის	*169,495*	*119,380*	*15,443*	*22,278*	*-*	***326,596***

* კომპანიას გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები, სადაც წარმოდგენილია როგორც მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიამ 2021 წლის 1 ივლისიდან განაახლა იჯარით აღებული საოფისე ფართების ხელშეკრულებები შემდეგი ყოველთვიური გადასახდელებით - საქართველოს კულტურის პალატა - 4,879 აშშ დოლარი (16 თვით აქედან 6 თვე შეღავათიანი პერიოდი 3,000 აშშ დოლარი); ფ/პ მურთაზ გუბელაძე - 1,375 ლარი (12 თვით).

აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება და ცვეთის ხარჯი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაბამისად შეადგენს 132,406 ლარსა და 83,144 ლარს (2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაბამისად შეადგენს 638 ლარსა და 185,009 ლარს). საიჯარო გადახდების დისკონტირების გასაანგარიშებლად გამოყენებულია კომპანიის სასესხო საპროცენტო განაკვეთი (6.50% აშშ დოლარი, 14.00% ლარი). საიჯარო ვალდებულება და მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაბამისად შეადგენს 141,826 ლარსა და 10,159 ლარს. (2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაბამისად შეადგენს 60,616 ლარსა და 18,063 ლარს. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მოხდა წინა პერიოდის ფასს 16-ით გადაანგარიშებული აქტივის გამოყენების უფლებით არსებული ქონების ჩამოწერა.

8 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივი

კომპანიამ 2020 წელს გასაყიდად გამიზნულ აქტივებში დააკლასიფიცირა მის ბალანსზე არსებული არამატერიალური აქტივი (პლატფორმა) 42,630 ლარის ღირებულებით, რომლის რეალიზაციაც განხორციელდა 2021 წელში 50,304 ლარად.

9 არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს ბექ-ოფისის პროგრამა და საბუღალტრო პროგრამა "ბალანსი".

არამატერიალური აქტივები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
თავდაპირველი ღირებულება		
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის	-	-
შეძენები	79,323	**79,323**
ჩამოწერები	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	**79,323**	**79,323**
შეძენები	26,226	**26,226**
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრისთვის	**105,549**	**105,549**
შეძენები	321,963	**321,963**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**427,512**	**427,512**
შეძენები	-	-
გასვლები	(96,535)	**(96,535)**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	**330,977**	**330,977**
შეძენები	-	-
გასვლები	(292,280)	**(292,280)**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	**38,697**	**38,697**
შეძენები	-	-
გასვლები	(292,280)	**(292,280)**
ნაშთი 2022 წლის 31 მარტისთვის	**38,697**	**38,697**
შეძენები	-	-
გასვლები	(292,280)	**(292,280)**
ნაშთი 2022 წლის 30 ივნისისთვის	38,697	**38,697**

აკუმულირებული ამორტიზაცია		
ნაშთი 2017 წლის 1 ინავრისთვის	-	-
პერიოდის ცვეთა	(15,865)	**(15,865)**
ცვეთის ჩამოწერა	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	**(15,865)**	**(15,865)**
პერიოდის ამორტიზაცია	(19,390)	**(19,390)**
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრისთვის	**(35,255)**	**(35,255)**
პერიოდის ამორტიზაცია	(49,051)	**(49,051)**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**(84,306)**	**(84,306)**
პერიოდის ამორტიზაცია	(49,640)	**(49,640)**
ცვეთის ჩამოწერა	53,906	**53,906**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	**(80,040)**	**(133,946)**
პერიოდის ამორტიზაცია	(38,669)	**(38,669)**
ცვეთის ჩამოწერა	104,444	**104,444**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	**(14,265)**	**(172,615)**
პერიოდის ამორტიზაცია	(484)	**(484)**
ცვეთის ჩამოწერა	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 მარტისთვის	**(14,749)**	**(173,099)**
პერიოდის ამორტიზაცია	(484)	**(484)**
ცვეთის ჩამოწერა	-	-
ნაშთი 2022 წლის 30 ივნისისთვის	(15,233)	**(173,583)**

წმინდა საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	***63,458***	***63,458***
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	***70,294***	***70,294***
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	***343,206***	***343,206***
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	***250,937***	***250,937***
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	***24,432***	***24,432***
ნაშთი 2022 წლის 31 მარტისთვის	***23,948***	***23,948***
ნაშთი 2022 წლის 30 ივნისისთვის	***23,464***	***23,464***

10 სესხები

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას ახალი სესხი არ აუღია. 2020 წლის 22 ივლისს კომპანიამ სს "თიბისი" ბანკისგან 1 წლის ვადით აიღო 100,000 აშშ დოლარის სესხი ეფექტური 6.94% საპროცენტო განაკვეთით. სესხის უზრუნველყოფა იმავე ღირებულების დეპოზიტით მოხდა, რომლის დაფარვაც განხორციელდა 2021 წლის 26 ივლისს.

2021 წელს სესხზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა ჯამში შეადგინა 11,558 ლარი (2020 წელი: 19,687 ლარი).

11 კრედიტორული დავალიანება

	30.06.2022	31-დეკ-21
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	13,026	6,558
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	614,730	420,532
სულ კრედიტორული დავალიანება	**627,756**	**427,090**

12 გადასახდელი გადასახადები

კომპანიის გადასახდელი გადასახადები წარმოეშობა საშემოსავლო, მოგების, ქონებისა და დღგ-ს გადასახადებისგან.

2022 წლის 30ივნისის მდგომარეობით გადასახდელი გადასახადები შეადგენს ლარს	**26,974**

13 გადასახდელი ხელფასები

	30.06.2022	31-დეკ-21
წინასწარ გადახდილი ხელფასები		-
გადასახდელი ხელფასები	(18,857)	(25,959)
სულ გადასახდელი ხელფასები	**(18,857)**	**(25,959)**

14 საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1436596ლარით.

2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1436596ლარით. 2022 წლის 16 თებერვალს აქციონერთა 2021 წლის 01 იანვარს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1,108,486 ლარით. 2021 წლის 01 იანვარს, აქციონერების გადაწყვეტილებით, საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 79,000 ლარის ოდენობით, ხოლო 02 თებერვალს მოხდა კაპიტალის შემცირება 32,800 ლარის ოდენოთ. 15 მარტს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 70,000 ლარით. 28 აპრილს - 34,000 ლარით. 22 მაისს - 43,500 ლარით, 10 ივნისს 28,000 ლარით. 01 ივლისს 33,800 ლარით. 11 აგვისტოს 25,810 ლარით. 13 ოქტომბერს 30,000 ლარით, ხოლო 12 ნოემბერს 500 ლარით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 1,420,296 ლარს. 2020 წლის იანვარს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული იყო 981,306 ლარი. 2020 წლის 1 იანვარს, აქციონერების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 117,750 ლარით. 8 ივნისს 4,930 ლარით, ხოლო 31 დეკემბერს 4,500 ლარით. შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს 1,108,486.

15 საკომისიო შემოსავალი

კომპანიის საკომისიო შემოსავალი წარმოადგენს A ბუქის საკომისიო შემოსავლებსა და სვოპებს.

16 საკომისიო ხარჯი

კომპანიის საკომისიო ხარჯი წარმოადგენს A ბუქისა და Lmax პლათფორმის საკომისიო ხარჯებს

17 ვაჭრობის შედეგად მიღებული მოგება

ვაჭრობის შედეგად მიღებული მოგება მოიცავს B ბუქიდან და ღია პოზიციებიდან მიღებულ მოგებას

18 ვაჭრობის შედეგად მიღებული ზარალი

ვაჭრობის შედეგად მიღებული ზარალი მოიცავს B ბუქიდან მიღებულ ზარალს

19 სხვა საოპერაციო შემოსავალი

კომპანიამ საბროკერო საქმიანობასთან ერთად საკონსულტაციო და სასწავლო მომსახურებიდანაც მიიღო შემოსავალი. მომსახურება მოიცავდა კომპანიის ტრეიდერების მიერ ინდივიდუალურ სავაჭრო კაპიტალის მართვაზე მასტერკლასებსა და კონსულტაციას.

სხვა საოპერაციო შემოსავალი	**2022 2 კვ**	**2021**
ტრენინგებიდან მიღებული შემოსავალი	24,896	75,440

შემოსავალი საკონსულტაციო საქმიანობიდან		
სულ სხვა შემოსავალი	**24,896**	**75,440**

20 გრძელვადიანი აქტივის რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

კომპანიას 2022 წელს არ მოუხდენია ბალანსზე არსებული არამატერიალური აქტივების რეალიზაცია. კომპანიამ 2021 წელს მოახდინა ბალანსზე არსებული არამატერიალური აქტივებისა (UTIP Trading Platform და Meta Trader 5) და ძირითადი საშუალებების რეალიზაცია. ოპერაციის შედეგად მიღებულმა სარგებელმა შეადგინა 310,473 ლარი.

21 სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალი მოიცავს ანაბრის საპროცენტო შემოსავალსა და COVID-19 პანდემიის საშემოსავლო გადასახადის შეღავათს, რომელიც 2021 წელს შეადგენს 15,815 ლარს (2020 წელი: 349,684 ლარი).

22 სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 2 კვ	2021
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	32,446	141,636
კომუნალური ხარჯი	2,923	43,687
წარმომადგენლობითი ხარჯი	2,878	29,365
საგადასახადო ხარჯი		26,362
ჯარიმის ხარჯი		17,000
საოფისე და საკანცელარიო ხარჯი	6,377	15,343
სარეკლამო ხარჯი	1,991	11,242
იჯარის ხარჯი	12,933	8,399
საბანკო მომსახურების ხარჯი	593	4,413
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	-	3,850
მივლინების ხარჯი		-
რემონტის ხარჯი		-
სასაქონლო მატერიალური მარაგების კორექტირება		-
თარგმნის ხარჯი		-
სხვა მომსახურების ხარჯი	33,627	24,707
სულ სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**93,768**	**326,004**

23 ხელფასის ხარჯი

	2022 2 კვ	2021
შრომის ანაზღაურება	(98,627)	298,072
ბონუსის ხარჯი	-	17,527
სულ ხელფასის ხარჯი	**(98,627)**	**315,599**

24 ფინანსური რისკების მართვა

24.3 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტების, სესხებისა და მოთხოვნების. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	30-ივნ-22	31-დეკ-21
ფული და ფულის ეკვივალენტები	746,789	429,729
სხვა მოთხოვნები	-	401,175
სულ	**746,789**	**830,904**

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

კომპანიას არ აქვს სხვა მნიშვნელოვანი მუხლი, რომელიც წარმოშობს მნიშვნელოვან საკრედიტო რისკს.

25 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

25.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა

ძოროის. ძიუხედავად აძ ძცდელობისა, ოოძ ოეალუოძა ღიოებულებაძ ასახოს ასეთი თახხა (ოაც ხიხა ხიხადადებაძია ახსხილი), საოაეოაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსასაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

---

25 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები *(გაგრძელება)*

25.2 *რეალური ღირებულების იერარქია*

კომპანია იყენებს შემდეგ იერარქიას სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის:

დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

დონე 2 შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3 არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

26 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე" წარმოადგენს:
ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	2022წ 30 ივნისი მარტი	მოთხოვნები	სულ
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები		-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები		-	-

ტრანზაქციები დაკავშირებულმხარეებთან 2022წ 2 კვარტალი	ხელფასის ხარჯი	ბონუსის ხარჯი	სულ
მეწილეები	12 755.10	-	-
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	8 750.00	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	-

27 კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ისე რომ კომპანიამ გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგება; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

კომპანია 2022წ 30 ივნისის და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 500,000 ლარზე ნაკლები.

*****